



შპს „Georgia Insight“

ს/კ: 406044677

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	7
4. ამონაგები	7
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8
6. სხვა შემოსავალი	8
7. შრომის ანაზღაურება	8
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
9. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	8
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	9
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	9
13. ძირითადი საშუალებები.....	9
14. არამატერიალური აქტივები.....	10
15. მოკლევადიანი ვალდებულებები.....	10
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები.....	10
17. კაპიტალი	11
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	11

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს Georgia Insight

საიდენტიფიკაციო კოდი: 406044677

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

შემოსავალი	შენიშვნა	2020	2019
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	317228	4231000
საერთო მოგება	5	(119081)	(2254723)
		198147	1976277
სხვა შემოსავალი			
შრომის ანაზღაურება	6	0	17384
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(356405)	(387468)
ცვეთის ხარჯი	8	(180351)	(249083)
იჯარის ხარჯი		(87060)	(67560)
სულ საოპერაციო ხარჯი	16	(3900)	(3375)
საოპერაციო მოგება		(627716)	(690102)
		429569	1286175

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	9	0	(12578)
ფინანსური შემოსავალი		0	0
მოგება დაბეგვრამდე		429569	1273597

მოგების გადასახადის ხარჯი		(4690)	(3000)
მიმდინარე წლის მოგება		429569	1270597

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		429569	1270597

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1885030	570570
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(28530)	(147368)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		22393	191231
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1433068	1885030

დირექტორი:

გიორგი თევდორაშვილი

ხელმოწერა:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს Georgia Insight

საიდენტიფიკაციო კოდი: 406044677

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები		121491	707917	421108
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	73625	259102	307886
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	0	102328	0
გაცემული ავანსები		0	127145	83326
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	9254	16202	17095
სხვა მიმდინარე აქტივები		38612	203140	12801
		1455761	1515422	245518
ძირითადი საშუალებები	13	1451007	1511308	245006
არამატერიალური აქტივები	14	4754	4114	512
სულ აქტივები		1577252	2223338	666627
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე ვალდებულებები		144184	338308	96057
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	10552	50177	2468
მიღებული ავანსები		133632	281228	86686
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	6903	6903
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი		1433068	1885030	570570
საწესდებო კაპიტალი	17	0	0	9587
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	17	1433068	1885030	560983
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1577252	2223338	666627

დირექტორი:

გიორგი თევდორაშვილი

ხელმოწერა:

1. ზოგადი ინფორმაცია

„Georgia insight“-ი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, რ. თაბუკაშვილის 41 ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შემოყვანი ტურიზმი (ტურისტული კომპანია). კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- გიორგი თევდორაშვილი 80%
- კატრინ რაინჰილდე თევდორაშვილი 10%
- მიხეილ ვერნერ ბერდონნერ 10%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგროპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 2%
- სატრანსპორტო საშუალებები 20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის

ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებუ-

ლი აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია მყიდველებს სთავაზობს ასევე საგარანტიო მომსახურებას, თუმცა გამომდინარე წარსული პერიოდის სტატისტიკური მონაცემებიდან ასეთი საგარანტიო მომსახურებების რაოდენობა არაარსებითი ხასიათისაა და ამიტომ არ არის გათვალისწინებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი გაყიდული ტურებიდან	317,228	4,231,000
	317,228	4,231,000

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019	
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	(119,081)	(2,231,196)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(0)	(23,527)	
	(119,081)	(2,254,723)	

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2020 წელში უსასყიდლო მიწოდებიდან მისაღებ შემოსავალს 0 ლარს.

7. შრომის ანაზღაურება

	2020	2019
სახელფასო ანაზღაურება	(319,288)	(372,290)
დაზღვევის ხარჯი	(37,117)	(15,178)
	(356,405)	(387,468)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
საოფისე ხარჯი	(5,252)	(13,642)
ავტომანქანის მომსახურება	(24,931)	(35,885)
სოციალური დანარიცხები	(8,352)	(11,485)
საკონსულტაციო ხარჯი	(10,549)	(20,200)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,615)	(2,147)
კომუნალურის ხარჯი	(4,681)	(2,653)
მივლინების ხარჯი	(8,587)	(14,783)
სხვა საგადასახადო (ხარჯი	(14,020)	(14,850)
რეკლამის ხარჯი	(1,950)	(4,304)
კომპიუტერის ხარჯები	(1,850)	(2,865)
ქონების გადასახადი	0	(14,850)
სხვა საერთო ხარჯი	(98,564)	(111,419)
	(180,351)	(244,778)

9. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

	2020	2019
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	0	55,401
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(0)	(67,979)
	(0)	(12,578)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,155	5,032
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,449	15,315
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	32,021	238,755
	73,625	259,102

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო დებიტორები	-	24,051
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	22,311
სხვა მოთხოვნები	-	55,966
	-	102,328

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020	2019
საქონელი	9,254	16202
	9,254	16202

13. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობა-ნაგებობები ძირ. საშ.	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1 იანვარი 2020 წ.	772,463	790,827	81,585	2,789	28,728	1,676,392
შემოსვლა	12244.1		13457			25,701
გასვლა						0
31 დეკემბერი 2020 წ.	784,707	790,827	95,042	2,789	28,728	1,702,093

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშნა- ნაგებობ ები ძირ. საშ.	სატრანსპორტო საშუალებებები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავიჯი და სხვა ინვენტა რი	სხვა ძირითად ი საშუალებ ები	სულ
1 იანვარი 2020 წ.	20,856	102,871	37,977	1,594	12,772	176,070
წლიური ცვეთა	37,580	34,398	2,180	60	798	75,016
31 დეკემბერი 2020წ.	58,436	137,269	40,157	1,654	13,570	251,086
საბალანსო ღირებულება	726,271	653,558	54,885	1,135	15,158	1,451,007

14. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	
1 იანვარი 2020 წ.	
შემოსვლა	4114
გასვლა	2102.8
31 დეკემბერი 2020 წ.	6,217
1 იანვარი 2020წ. დაგროვილი ცვეთა	
წლიური ამორტიზაცია	640
31 დეკემბერი 2020წ. დაგროვილი ცვეთა	822.8
31 დეკემბერი 2020წ. საბალანსო ღირებულება	1462.8
	4,754

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019
კრედიტორული დავალიანება	10,552	40,553
გადასახდელი ხელფასები	-	9,624
	10,552	50,177

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე ფართი და ავტომანქანა. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:

2020	2019
3,900	3,375

17. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1433068 ლარს, რომელიც შედგება გაუნაწილებელი მოგების 1433068 ლარისგან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა (30/09/2021)

დირექტორი:

გიორგი თევდორაშვილი

ხელმოწერა

